საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/53

ქ. ბათუმი 20 მარტი, 2023 წ

2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზალცბურგის უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოვლენის მიზნით კონკურსის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 15 მარტის №292010 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ზალცბურგის (ავსტრია) უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

ა) კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ელექტრონულ ბმულზე https://registration.bsu.ge/ **2023 წლის 21 მარტიდან – 2023 წლის 21 აპრილის ჩათვლით 15:00 საათამდე.**
ბ) საბუთების შემოწმება და შეფასება - **2023 წლის 24 აპრილი, 10:00-12:00 საათი** (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);
გ) ტესტირება/გამოცდა ინგლისურ (B2) და გერმანულ (A2) ენებში - **2023 წლის 26 აპრილი** (ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);
დ) საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - არაუგვიანეს **2023 წლის 30 აპრილისა.**
2. მიმღები უნივერსიტეტის კომისიის მიერ გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის შემდეგ კონკურსანტს ეცნობოს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ;
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს -ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**